

№ 243 (3727)

14

1968 წ.

დეკემბერი. შაბათი. შპსი № 333.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

# მექსიკის გმირების კატივსაცემად

11 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქავშირო პროფსაბჭომ და საქავშირო ალკ. ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის გორაზე, მიღებულა სახელმწიფო მოღვაწეების საბჭოთა სპორტსმენებს — მექსიკის XIX ოლიმპიური თამაშების პრიზიორებსა და გამარჯვებულებს.

მიღებას დაესწრნენ ამხანაგები: ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩივი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მუჟანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ტ. ნოვიკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი, საქავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტაუელნიკოვი და სხვ.

მიღებაზე გამოვიდა სსრ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის წევრობის კანდიდატი, სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩივი, რომელმაც ახალ-ახალი წარმატებები უსურვა საბჭოთა სპორტსმენებს.

სსრ კავშირის სპორტის დამახარებელმა ოსტატმა ლ. შაბოტინსკიმ ოლიმპიელთა სახელით მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას იმ მამობრივი ზრუნვისთვის, რასაც იჩენენ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისთვის.

მიღებამ გულთბილ, გულწრფელ ვითარებაში ჩაიარა.

იმავ დღეს შორეული მექსიკის ბატალიების გმირებს, ოლიმპიური

ჭიღოების მფლობელ საბჭოთა ათლეტებს მიღება მოუწევს საქავშირო პროფსაბჭოსა და საქავშირო ალკ. ცენტრალურ კომიტეტში.

პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებების წევრ ოლიმპიელებს პროფკავშირთა პრეზიდიუმის სახელით მხურვალედ მიულოცა პროფსაბჭოს მდივანმა ე. ბოგატეიკოვმა. მან XIX ოლიმპიური თამაშების გმირებს: მძლეოსან ე. გოლუბნიჩის, ცხენოსან ი. კიზიმოვის, მოვიდავეებს რ. რურუსასა და ა. მედედს, მოკრივეებს ბ. ლაგუტინსა და დ. პოზნიაკს, ნიჩბოსნებს ა. ხახს, ლ. პინაევასა და ა. შაპორენკოს, აფროსან ვ. მანკინსა და ძალოსან ბ. სელიცის გადასცა საქავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელები.

საქავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტში ოლიმპიელებთან შეხვედრაზე შესრულდა ა. პახმუტოვასა და ნ. დობრონოვოვის სიმღერა, მიმღვნილი საბჭოთა სპორტსმენებისადმი, რომელიც მექსიკის მიწაზე დაიწერა.

XIX ოლიმპიური თამაშების პრიზიორებსა და გამარჯვებულებს მიესალმა საქავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ჩენა-ვიჩისი.

საქავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტაუელნიკოვმა გამოაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება: XIX ოლიმპიური თამაშებში გამარჯვებულ საბჭოთა სპორტსმენთა სახელები შეიტანონ კავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. ოლიმპიური თამაშების პრიზიორები და მათი მწვრთნელები დაჭიღდოდნენ საქავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

მალირობა, 13 დეკემბერი.

ლენინგრადელმა დიდოსტატმა ე. კორჩინომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აქ მიმდინარე IV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში: შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე 13,5 ქულით გაიხალდა პირველობა. მის უახლოეს მეტოქეებს — მ. სპასისა და დანიელ მ. ლარსენს 12-12 ქულა აქვთ. XVI ტურში კორჩინომ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ესპანელ ა. პომართან, სოლო სპასისთან გადაღებულ პარტიაში გამარჯვებას მიაღწია. თავის მხრივ სპასი 2 ქულა აიღო. ამ ტურში დაამარცხა დ. ბირნი (აშშ) და გადაღებულ შეხვედრაში — ესპანელი რ. ტორანი. ლარსენმა თავის აქტივს ერთბაშად 3 ქულა დაუმატა: გადაღებული პარტია მთავრობის ტორანსა და ბირნს და მორიგ ტურში ფარ-ხმელი დააყრევინა პ. ვესტერინენს (ფინეთი). ტ. პეტროსიანმა გადაღებული პარტია მოუგო ესპანელ ა. მედინას, ხოლო XVI ტურში პ. ლემანთან (გერ) შეხვედრა ყაიმით დამთავრა. ამ-ლა მსოფლიო ჩემპიონს 11 ქულა აქვს და ჭრუჭურებით IV ადგილზეა. II და მომდევნო საპრიზო ადგილების ბედს ბოლო ტური გადაწყვეტს, რომელიც შაბათს გაიმართება. ცენტრალური შეხვედრები იქნება: ტორანი — პეტროსიანი, ვესტერინენი — სპასი, ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია) — ლარსენი. დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ.

## გაისად, გაისუი

როში, 13 დეკემბერი. ძიულდოს გვრძობულმა კავშირმა გამოაცხადა, რომ კონტინენტის ჩემპიონატი გამართება 1969 წლის მაისში ბელგის ქალაქ ოსტენდეში. ჰაბუკთა და იუნორთა შეჯიბრებები 21-22 მარტს მოეწყობა დასავლეთ ბერლინში.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: ტურაში — ი. ზოტოვას (თბილისის „განთიადი“), ვ. სნიშჩიკოვს (თბილისის „დინამო“), ე. სედიკოვას (ბათუმის „სპარტაკი“); თანამედროვე ხუთქილიში — ნ. ქაჯაიას (თბილისის „დინამო“), ნ. ხუციშვილს (თბილისის „სპარტაკი“); აკრობატიკაში — ა. ტაქიძეს (ბათუმი, „კოლმეურნე“), გ. მხითარაძეს, ლ. ავეტისიანს (თბილისი — სოხუმის „განთიადი“); თავისუფალ ჭიდაობაში — თ. მიქელაძეს (თბილისის „სპარტაკი“), გ. ზერევიძეს (გორი, „კოლმეურნე“); სამბოში — თ. ომაძეს (გორის „ბურევესტნიკი“), ა. შაშვიაშვილს (თბილისის „განთიადი“); ნიჩბოსნობაში — თ. მოლჩანოვს (მცხეთის „ლოკომოტივი“); ჭადრაკში — ე. კობაიძეს (თბილისის „დინამო“).

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება ქართულ ჭიდაობაში მიენიჭა ზ. მაღვინიშვილს (ანბეთის „კოლმეურნე“).

## 17 დეკემბერს

საქართველოს პროფსაბჭოს სახელმთა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „ბანთიადის“ ცენტრალური საბჭოს მე-6 კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე. დღეგატების რეგისტრაცია იწყობოებს „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოში (პლენაროვის პრ. № 9) 10 საათიდან.

„ბანთიადის“ ცენტრალური საბჭო.

## ჩვენს გმირებს უსაზღვროდ ვუძახებ

### პირველი ნაბიჯები ყინულზე

წლებადელი სპორტული ზამთრის დასაწყისმა დიდი სიხარული მოუტანა ირკუტსკელ ახალგაზრდებს: მუშაობა დაიწყო ქალაქში პირველმა ნორჩ ფიგურისტთა სკოლამ. აქ სწავლობს 7-დან 14 წლამდე ასაკის 250 ბავშვი, რომელთაც გამოცდილი პედაგოგი და მწვრთნელი მ. მინინა ჩაუდგა სათავეში.

მეზობელ ანგარსკში კი, სადაც ფიგურისტებმა ირკუტსკელზე ადრე გადადგეს პირველი ნაბიჯები ყინულზე, ნორჩ სპორტსმენთა რიცხვმა უკვე ათასს გადააჭარბა. ფიგურული ციგურაობის სექცია აქვს ქალაქ-თანამგზავრს შელეზოვსკს.

სამეცადინო პირობები ჩინებულია. ანგარსკის ყინული, როგორც ცნობილია, საუკეთესოა სსრ კავშირში, წვრთნა აქ ოქტომბრის ბოლოდან აპრილის დამდეგამდე შეიძლება გაგრძელდეს.

დეკემბერში საოლქო ფედერაციამ გადაწყვიტა ჩაატაროს ახალგაზრდა ფიგურისტების პირველი შეჯიბრებები.

ირკუტსკი.


### „საბრძოლო ხელთათმანები“

— ასე მქვია ნორჩ მოკრივეთა კლუბს, რომელიც კალუგაში შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე. იგი ჩამოყალიბდა საზოგადოება „ტრუდი-სა“ და ტრესტ „კალუსოვსკო-სტროის“ პროფკავშირული ორგანიზაციის თაოსნობით. სწორედ ამ ტრესტმა დაუთმო ბავშვებს ადგილი თავის ერთერთ მრავალსართულიან სახლში. მშენებლები მათ დაეხმარნენ სპორტდარბაზის მოწყობაში, შეიძინეს აუცილებელი ინვენტარი.

ახლა კლუბი თავის რიგებში 70-ზე მეტ მოსწავლეს აერთიანებს. მათ „ტრუდის“ კვალიფიციური მოკრივეები წვრთნიან.

ა. გაიდაი.

ნ. ალექსანდროვი.



პოლონეთისა და საქართველოს რეგისტრაციის კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ისინი ერთმანეთს ყოველწლიურად სტუმრობენ და საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებსაც მართავენ. აი, ახლაც, თბილისის ეწვივნენ პოლონელი რეგისტრები, რომლებმაც გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩვენი დედაქალაქის ნაყრბთან ითამაშეს. მატჩი ქართველი რეგისტრების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 16:3. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა ჩატარდება კვირას „დინამოს“ სტადიონზე. მატჩი 15 საათზე დაიწყება.

სურათზე: ზევით — რეალიზაციას ასრულებს თბილისელი ნ. აბაშიძე; ქვევით — შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ბ. გვაურისა და ა. კოტორაშვილისა.



# „ლელოს“ პრიზის XII გათამაშება

27-29 დეკემბერს ბაკურიანში გაიმართება „ლელოს“ პრიზის XII გათამაშება სათიხლამურო სპორტის სეზონის გახსნის ქილოდეტ. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრების მთავარ მიზანს შეადგენს რესპუბლიკაში სათიხლამურო სპორტის მახობრივი დანერგვისთვის ზრუნვა, სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებში ჩატარებული წლიური მუშაობის ხარისხის შემაჯობება, ნიჟერი მთიხლამურთა გამოვლინება.

ტურნირში სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს გამოყვავთ გუნდები, რომელთა შემადგენლობაში 18 ვაჟი და 7 ქალი შედის. მაგრამ ამით გარდა პირადად პირველობაში სხვა პირველობის სპორტსმენებიც დაიშვებიან. მათი მონაწილეობისთვის განაცხადს წარმოადგენს ის უწყება თუ საზოგადოება, რომელსაც გუნდის შემადგენლობის გარეშე დარჩენილი სპორტსმენები ეკუთვნის.

შეჯიბრების პროგრამაშია სპეციალური და გიგანტური სლოლოში, სხვადასხვა მანძილზე რბენა, ორბილი და ტრამპლინიდან ხტომა, ყოველ გუნდს გიგანტურ სლოლოშია და სლოლოში 7-7 ვაჟი და 4-4 ქალი გამოყვავს. ჩათვლას კი იძლევიან ის სპორტსმენები, რომლებიც უძლიერესთა ოცნებაში (ვაჟები) და ათეულში (ქალები) მოიპოვებენ ადგილებს.

10 და 15 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში, აგრეთვე, ტრამპლინიდან ხტომაში გუნდებს 4-4 მონაწილე გამოყვავთ. ჩათვლას შედის 3-3 სპორტსმენის შედეგი.

რაც შეეხება სათიხლამურო ორბილს და ქალთა შეჯიბრებას 5 კილომეტრზე რბენაში, აქ ყოველ კოლექტივს 3-3 მონაწილის გამოყვანის უფლება აქვს. ჩათვლას შევა 2-2 სპორტსმენის შედეგები.

27 დეკემბერს თანსთვის მებრძოლი იასპარეზებენ გიგანტურ სლოლოში და 15 კილომეტრზე რბენაში (ორბილებიც). 28 დეკემბერს გაიმართება შეჯიბრება 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ტურნირის ბოლო დღეს ჩატარდება სპეციალური სლოლოში, აგრეთვე, 5 (ქალებისთვის) და 10 კილომეტრზე (ვაჟებისთვის) რბენაში.

სათიხლამურო სპორტში გუნდური ადგილები განისაზღვრება სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ქულების ჯამის მიხედვით (პირადად შეჯიბრებაში მონაწილეთა მიხედვით მხედველობაში არ მიიღება). სპორტსმენებს I ადგილისთვის დაწერებათ 20 (ვაჟებს) და 10 (ქალებს) ქულა. II-III-IV და მომდევნო ადგილებზე გახულ სპორტსმენებს შესაბამისად იძლევათ 19, 18, 17 და 8, 8, 7 და 6 ქულა. ხოლო გუნდებს, რომლებიც ცალკეულ სახეობებში I, II, III და მომდევნო ადგილებზე გავლენ, 1, 2, 3 და 4. შ. ქულა. მაგალითად, თუ ვაჟებმა სლოლოში I ადგილი დაიკავეს, ხოლო ქალებმა — III, გუნდს საბოლოოდ ამ სახეობაში 4 ქულა დაეწერება.

ორბილსა და ტრამპლინიდან ხტომაში საერთო I ადგილი განისაზღვრება ჩასათვლელი მონაწილეების მიერ მოგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით ცალ-ცალკე. გუნდს, რომელსაც ასეთი მონაწილეების სრული შემაჯობება არ უყოლება, ადგილი მიეკუთვნება I ან 2 სპორტსმენის მიერ მოგროვილი ქულების ჯამის მიხედვით, ხოლო ის კოლექტივი, რომელიც ვერც ერთ მონაწილეს ვერ გამოიყვანს, ბოლო ადგილზე დარჩება და 1 ქულა დაეწერება.

ვთქვათ, ტრამპლინიდან ხტომაში რომელიმე კოლექტივს არ ჰყავს ყველა — 4 მონაწილე, მაგრამ 2 სპორტსმენით იმდენ ქულას აგროვებს, რომ ოთხწევრიან გუნდს უხსრებს. ასეთი კოლექტივი, რა თქმა უნდა, უკეთეს ადგილსაც დაიკავებს.

რომლებში გუნდური შედეგები გამოიანგარიშება ჩამთვლელ მონაწილეთა ქულების მინიმალური ჯამის მიხედვით ქალებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე. საერთო შედეგის განსაზღვრისას გამოიყვანება ასეთი სისტემა: ვთქვათ, ვაჟებმა დაიკავეს I ადგილი, ხოლო ქალებმა — III. გუნდს, რა თქმა უნდა, დაეწერება 4 ქულა. კოლექტივის, რომელსაც არ ეყოლება ჩამთვლელ მონაწილეთა გათვალისწინებული რაოდენობა, თვითუფლები სპორტსმენის დაკლებებისთვის დაეწერება ბოლო მონაწილის შედეგი და 5 წუთითაც დაეწერება.

სათიხლამურო სპორტში მოასპარეზენი სიძლიერის მიხედვით თავიდან დაიყოფიან ასე: I ჯგუფში გამოვლენ რესპუბლიკის წლებადეულ ჩემპიონებსა და „ლელოს“ პრიზის შარშანდელ გათამაშებაში I-III ადგილებზე გახული სპორტსმენები, რომელთაც თითო გუნდიდან თითო სპორტსმენი დაემატებათ: II ჯგუფში გამოვლენ 1951-54 წლებში დაბადებულნი, III — ყველა დანარჩენი. მეორე სახეობაში საასპარეზოდ კი პირველ სახეობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით გამოვლენ: I ჯგუფში — წინააღმდეგ I-X ადგილებზე გახულინი, II ჯგუფში — XI-XX ადგილებზე გახულინი და ა. შ.

გუნდი, რომელიც საერთო I ადგილს მოიპოვებს, დაჯილდოვდება „ლელოს“ პრიზითა და ფიჭულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომებით, II და III ადგილებზე გახულინი გუნდები — შესაბამისი ხარისხის დიპლომებით. პირადად პირველობაში სპორტსმენები ადგილების მფლობელები მიიღებენ ფიჭულტურის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომებს, ხოლო ის სპორტსმენები, რომლებიც I ადგილი დაიკავებენ და პირველი თანრიგის შედეგს აჩვენებენ, ფასიანი საჩუქრებიც დაჯილდოვდებიან.

## საქალაქო...

თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა ქუთაისის XII სპორტაქიდა, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრება 28 სახეობაში. ასპარეზობაში 1700-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდები სიძლიერის მიხედვით დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გამარჯვა „განთიადმა“. II ადგილი წილად ხვდა სპარტაკებს, III — განთიადის განყოფილების კოლექტივს. მოსწავლე სპორტსმენებმა ჩემპიონობა მოიპოვეს ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჯადრბაში, ხელბურთსა და მხატვრულ ტანვარჯიშში. მეორე ჯგუფში პირველობა არაგის დაუთმო საავტომობილო ქარის სპორტულმა „კოლქოლმა“. II ადგილი დაიპყრონ პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო III — რკინიგზელთა სპორტკლუბ „თბო-მავლის“ კოლექტივმა.

სპარტაკებმა ორგანიზებულიდ ჩატარდა, მაგრამ შედეგები მეტად დაბალი იყო. სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება მხოლოდ ერთმა გამარჯვებულმა შეძლო. ძალზე უხეირო იყო მჩაგრებლები მძლეობაში, სასტენდო სროლაში, ველოსპორტში.

შ. ნიშარბაძე.  
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

# განთიადელთა საოლქო შეჯიბრება

„განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს VI კონფერენციასზე მოხსენებით გამოვიდა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. კვაჭაძე. საოლქო საბჭო, აერთიანებს 8000-ზე მეტ სპორტსმენს. საანგარიშო პერიოდში მოზარდად 7 სპორტის ოსტატი, 19 ოსტატობის კანდიდატი, 175 პირველთანრიგისანი, 500-ზე მეტი სხვა თანრიგების სპორტსმენი, გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯურების მოზარდების თვითგადამზადება.

წლებულ საზოგადოებებს 23 წარმომადგენელი საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი გახდა, 42

სპორტსმენი — „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. განთიადელებმა მოიპოვეს ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა ხელბურთში, ცურვაში, კალათბურთში, ნინბოსნობასა და წყალბურთში. კამათში გამოსულეებმა: ი. ბუდნიკმა (ელექტრომექანიკური ქარხანა), რ. შარჭიანიმა (სამკერვალო ფაბრიკა), გ. ბეჭიაძემ (№ 5 სამშენებლო ტრენტ), ფ. ლებტოჟოლმ (გემსმშენი ქარხანა), ი. უსილიძემ (ტყავის ქარხანა), რ. ლაჩივილიმა (ხისდამამუშავებელი კომბინატი) და სხვებმა ილაპარაკეს ფიჭულტურულ კოლექტივებში მასობრივ-სპორტული და გამაჯანსაღებელი

მუშაობის ნაკლოვანებებზე. მათ ხანჯასმით აღნიშნეს, რომ ბევრგან ჯეროვანი ყურადღება არ ემცხება საწარმოო ტანვარჯიშს, ტურნირს, ქალთა ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. კონფერენციამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი და აღიარა საბჭოსა და პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობანი. „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია გ. კვაჭაძე.

რ. შარჭიანიძე.  
(ჩვენი კორ.).  
ბათუმი.

# ნაყოფიერი შრომის საგლაური

როცა გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგს აჯამებ, ზურგს უკან ასობით თანამოსაქმის, რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერას გრძნობ, ლაბარაკიც არ გეჭირს და ყველაფერი თავისი რიგით მიდის. ასე იყო მახარაძის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს წევრადრეკრუციაზე; როცა რაისაბჭოს თავმჯდომარე გ. გოგავაძემ ახარება ანგარიშს დაეუკავებდა.

მართლაც, რომ დიდი შრომა გაწეული ბოლო რა შელოწადში ამ დროგანიბადია. დაწვებული გეგმებისა თუ თვითგადამზადების გადაჭარბებით შესრულება, მნიშვნელოვანი წარმატებები საჯავშორობა რესპუბლიკური სარბიელზე, ძირეული კოლექტივების დაუღლაკი მუშაობა — აი, ყველაფერი ის, რაზეც ერთგვარი სიახვის გრძნობით ილაპარაკა მომხსენებელმა.

რაისაბჭოს თავმჯდომარის გამოცხლა შედეგს კამათში გამოსულეებმა ისმინდნ. მათ სიტყვებს და გრძნობებს: აშენდა ახალი საფელი, მის თავკაცებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — ახალგაზრდობის მზარდი მოთხოვნებზე

ბის დაეძაფრებოდა. ახლა სპორტის მოყვარულნი მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობების აშენებას კი არა, ვფხოვან მთელ კომპლექტზე სანადე იქნება სფერული მინდორი, კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის მოედნები, სპორტული დარბაზი, და ასე ვასინჯეთ, საცურაო აუზიც კი.

კონფერენციაზე გამოსული ბევრი დელეგატი საკითხს აყენებდა თავისი ფიჭულტურული კოლექტივებისთვის სპორტული კულების წოდების მინიჭების თაობაზე, ზოგი კი თავისი გუნდების რესპუბლიკურ ღონისძიებებში ჩაბმას მოითხოვდა.

გაწეული მუშაობის შესახებ კონფერენციაზე ილაპარაკეს ი. ზოიძემ (ნატანების საკოლმეურნეო ფიჭულტურული საბჭოს თავმჯდომარე), კ. ინჭკირველმა (ლაითურის საბჭოთა მეურნეობის სპორტული დარბაზის დირექტორი), გ. თენიშვილმა (საწარმოო სამშრობველო მუშაობა პროფკავშირის თავმჯდომარე), გ. ერქობაშვილმა (მძლეობის ნაკრები გუნდის მწვრთნელი), ვ. შაიშვილმა (ძა-

ლისანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი), მ. გოგავაძემ (ტიპობის ნაკრები გუნდის მწვრთნელი), ი. ხოშტიანიმა (სასპორტლოს სამსახურის ხელმძღვანელი, დიპლომის მფლობელი), თ. კომისნიკი (რაიონის ფიჭულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე).

კონფერენციაზე საჩუკით გამოვიდა მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. გობრონიძე. მან დაამსწრთ გააცხა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი ფიჭულტურისა და სპორტის კიდევ უფრო განვითარებისთვის. ახალი სპორტული დარბაზებით, სტადიონებით, წიოდნებით, საცურაო აუზებით დაამშენებდა სულ მოკლე ხანში მახარაძის რაიონი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. გორგოიანი.

გ. შარჭიანიძე.  
(ჩვენი სპეც. კორ.).  
მახარაძე.

# ფორტის გამოსახულება

ფიჭული ვარჯიშებით მკურნალობის მეთოდი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მედიცინაში. ამ გზით მოზარდა ბევრი დაავადება შეიძლება ავიცილოთ თავიდან. ამიტომაც, რომ ახლა ბავშვთა პოლიკლინიკებში სულ უფრო ხშირად შეხვდებით სპორტულ იარაღებს. ზოგან სპეციალური კაბინეტებიც კი ეწყობა. ასეთი კაბინეტი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად თბილისის ბავშვთა მე-9 პოლიკლინიკასთან გაიხსნა.

კარგი თანამედროვე მიმდევრები ფორტის აღმოჩენდნ და ბავშვთა პოლიკლინიკა-სავადმყოფოს მთავარი ექიმის გ. გეგუას მეცადინეობით ექიმობის სპორტული კაბინეტი უკვე მწყობრში ჩადგა.

როცა სამკურნალო ფიჭულტურის კაბინეტის გახსნა ვითაუთ, წინადადება მოგვიწოდეს და დავეხმარებნ კიდევ ჯანმრთელობის

სამინისტროს დედათა და ბავშვთა პროფილაქტიკური და სამკურნალო სამმართველოს უფროსი ლ. რემბაძე, რესპუბლიკის მთავარი პედიატრი მ. მჭედლოშვილი და ფიჭულტურის განყოფილების დირექტორი ვ. კუპია, — გვითხარ ვეუქმ. — სრული დატვირთვით კაბინეტი ახალი წლიდან დაიწყებს მუშაობას.

გეგუა ამ კაბინეტში დღეში ორჯერ-სამჯერ მოდის, მუშაობას ავირდება, ბევრ სასარგებლო რჩევას აძლეის ექიმებს. სპეციალურ ვარჯიშთა კომპლექსის შედგენაში ექიმებს დიდ დახმარებას უწყებს ქალქის სპორტკავშირის თავმჯდომარე ბ. გოგინაშვილიც.

ქალაქში ორჯერ ჩავატარეთ მონარდათა საექიმო გამოკვლევა და ამიერიდან არც ერთი ავადმყოფი არ დარჩება ფიჭულტურით მკურ-

ნალობის გარეშე. ჩვენი ყველაზე პატარა პაციენტები რაიკტით დაავადებული ჩვილები იქნებიან, — თქვა დასასრულს გ. გეგუა.

მ. მჭედლოშვილი.  
(ჩვენი სპეც. კორ.).  
ფოთი.

# ფიჭულტურის საგლაური

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ კრივი საქართველოში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მივიწყებული სახეობაა. ამ პატარა სფეროში არ შევუღლები ჩვენი რესპუბლიკის მოკრთევათა დამახატებების ჩამოთვლა. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერა. მე მინდა ჩემი და ჩემი კოლეგების გულისტკივილი გამოვთქვა ამ ერთობ მიუტყვევებელი გულგრილობის გამო და მცირე შენიშვნებით შეძლებისდაგვარად დავეხმარო საყვარელი სპორტის აღორძინების საქმეს.

საქართველოში კრივის ჩამორჩენის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. მე მინდა ხახი ვახსენავ ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც კრივის პროპაგანდა ეწოდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კარგად ორგანიზებული შეჯიბრება სპორტის ყველაზე დიდი პოპულარიზატორია. სამწუხაროდ, ჩვენში მოკრთევა კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებაზე პრეტენზიას აღარავინ აცხადებს. უბრალოდ, შეჯიბრებებს ვართ მონატრებელი.

რესპუბლიკის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში კრივი, როგორც წესი, მეტად ძუნწად წარმოდგენილი. რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიმე სამატორის შეხვედრა, ერთი-ორი საერთაშორისო ასპარეზობა, ისიც შედარებით სუსტ მეტოქესთან... ეს არის და ეს.

შესაძლებლობები კი უდავოდ დიდია. აი, თუნდაც რატომ არ უნდა ტარდებოდეს ხშირად საქალაქთაშორისო შეხვედრები, ან რესპუბლიკის ქალაქების ღია პირ-

ველობები? ხომ შეიძლება სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში შევტანდნ გამოჩენილ ოსტატთა ხსენისსახში მიმდენილი ტურნირები? ვანა მსგავსი ასპარეზობანი არ ტარდება სპორტის სხვა სახეობებში?

ვიტყვი კიდევ ერთს: კრივის პოპულარიზაცია რესპუბლიკის მთიან რაიონებში ეფექტურ შედეგს გამოიღებდა. სწორედ ამიტომ, სპორტული კალენდრის შემდგენლებმა ერთი-ორი საინტერესო შეჯიბრება უნდა დაუფარებნ ყაზბეგს, დუშეთს, თანეთს და ა. შ. ეს საპრობა იმისთვის, რომ ახალგაზრდაობა ნახოს, როგორია ნამდვილი კრივი, დაინტერესდეს სპორტის ამ სახეობით და რეგულარული მეცადინეობა დაიწყოს. კარგად დაყენებულ პროპაგანდა წარმატების ერთ-ერთი საწინდარია სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

ბ. გოგინაშვილი,  
ბათუმის მე-9 სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურის მასწავლებელი.

გალი  
ექვს ზონად დაყოფილი 32 გუნდი მონაწილეობდა „კოლმეურნის“ რაიონულ საფეხბურთო პირველობაში. საერთო პირველი ადგილი გაითამაშეს ზონებში გამარჯვებულმა გუნდებმა. წარმატება წილად ხვდათ სოფ. თაგლონის ჟდნოვის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებს (მწვრთნელი რ. შარჭიანი), რომლებმაც ვადამწყებმატაში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ოქუშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი.

გ. შარჭიანიძე.  
3. შიკაძე.

ოდი  
ადგილობრივ სპორტდარბაზში გაიმართა ცნობილი ფალოვის კოსტა მანსურაძის სახელობის თანის გათამაშება თვითუფლები კიდაობაში. ასპარეზობდნენ უმცროსი ასაკის სპორტსმენები. I ადგილი და გარდა-მაგალი თასი დასაჯებლად ირის საშუალო სკოლის გუნდმა.

ფ. ხახიაშვილი.

ალიგანი  
სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად აქ გამართა რაიონული პირველობა ჯადრბაში. გოგინებში უძლიერესის სახელი დაისაჯებლად უდის საშუალო სკოლის მოსწავლე ე. აფრამაშვილმა, ჯადრბაში კი არლის საშუალო სკოლის მოსწავლემ პ. ფეიქრბეგლიმა.

ნ. მამულაშვილი,  
სპორტსკოლის დირექტორი.

რედაქციისგან: კრივის სპეციალისტებო, მწვრთნელებო, გულშემატკივრებო! გამოთქვით აზრი სპორტის ამ სახეობის ჩამორჩენის თაობაზე.



**• KOPANA • ფუნქია • ფუნქია • LAB • ARUGAS •**

### შესარჩები მატრები

ამ დღეებში გაიმართა რაზმდენიმე შესარჩები მატრი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

**ნიკოლოზი.** როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შოტლანდიელებმა იოლად დაამარცხეს კვიპროსის ნაკრები. შოტლანდიელთა ნ გოლს მასპინძლებმა ვერც ერთი ვერ უპასუხეს.

**საინი.** I შესარჩები ჯგუფის მთავარმა ფავორიტმა — პორტუგალიის გუნდმა მსოფლიო მატრები განიკაცა საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრაში. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები ისე დაიბნენ, რომ ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანეს და დამარცხდნენ ანგარიშით 2:4.

**სტამბოლი.** ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა „მეთხად-ფაშას“ სტადიონზე ანგარიშით 3:0 დაამარცხა თურქეთის გუნდი. 2 ბურთი გაიტანა პარკინმა, ერთი — ნიკოლსონმა. ეს იყო განმეორებითი შეხვედრა, — ადრე ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს თურქები საკუთარ მიწაზე დამარცხებული ჰყავდა ანგარიშით 4:1. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ორივე გუნდი IV ჯგუფში თამაშობს, სადაც სამხრეთ ფეხბურთელებიც გამოდიან.

**მადრიდი.** „ბერნაბეუს“ სტადიონზე შემდგარმა მატრმა ესპანეთისა და ბელგიის ნაკრებ გუნდებს შორის (VI შესარჩები ჯგუფი) სენსაციური შედეგი გამოიყო. 3 ვერცერთ გუნდს ანგარიში გახსნა ბელგიელთა ცენტრფორვარდმა დეკინდემამ. ესპანელები დიხანს მოუხდნენ ამ გოლის გაქვითვას და ბოლოს, 76-ე წუთზე, გარატემ, როგორც იქნა, შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბელგიელებმა ამ მომენტში თამაშზე შედეგად დაკმაყოფილდნენ „აღმოსავლეთის“ და დავა აუტეტებს პორტუგალიელ მსახვარს. ეს უკანასკნელი იძულებული იყო მინდვიდან გაეძევებინა ბელგიელთა კაპიტანი ადონა. ბელგიის ნაკრებმა, რომელსაც ამ მატრში აკლდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, შეძლო ანგარიშის შენარუნება და ახლა 7 ქულას (8 შესაძლებელია) ლიდერობს ქვეჯგუფში.

### კელეა ალფროთაანა სტადიონი

რიონ-დე-ქანერი, 12 დეკემბერი. პრეზიდენტის საფეხბურთო სექციის დიდმა მსოფლიოს უდიდეს სტადიონს „მარკანაზე“ პულს გუნდმა — „სანტოსმა“, რომელმაც რთბერტო გომეს პედროსის ტურნირში ანგარიშით 2:1 დაამარცხა „კასკო და გამა“ (ბრაზილიის არაოფიციალური პირველობის მსაპოვებლად იბრძოდა ამ ქვეყნის 17 საუკეთესო გუნდი).

ულამაზენი კომპლექსები ერთნების მოხდევდა პირველივე წუთებიდან. მაყურებელთა მქუხარე ტაში გამოიწვია პულს გუნდმა, რომლის შემდეგ ტონიონი მე-14 წუთზე გახსნა ანგარიში. 25 წუთის შემდეგ თით „ფეხბურთის მუხე“ განსხვავებულა „სოლური ნორი“: მან დროებით აუარა გვერდით რამდენიმე მცდელობას, გადასტა ერთ-ერთ მათგანს და ყუშპარისებური ტრექტით გაგზავნა ბურთი ბელგიაში.

„კასკო და გამა“ მეორე ტაშიში შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

### საერთაშორისო ამხანაგური...

**გაზაბანი, 11 დეკემბერი.** მორიგი მატრი ჩატარა ინდოეთში მინსის „დინამომ“. სტუდენტები აქ შეხვედრენ გაუხატის ნაკრებს და დაამარცხეს იგი — 5:1.

**თაირანი, 11 დეკემბერი.** ირანში განაგრძობს ტურნეს ბაქოს „ნეფტჩი“. ბაქოელ ფეხბურთელებმა მატრი ადვილობრივ „თაქთან“ დაამარცხეს — 1:1. ანგარიში

გახსნეს მასპინძლებმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა ბანიშევსკიმ.

**ლონდონი, 12 დეკემბერი.** „უემბლის“ განთქმულ სტადიონზე 80 ათასი მაყურებელი დაესწრო აშხანაგურ საერთაშორისო მატრს ინგლისისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში გახს-

ნა ბულგარელთა ცენტრალურმა თავდამხმელმა ასარუხოვმა და მსოფლიო ჩემპიონებმა შეძლეს მხოლოდ ის, რომ 3 წუთის შემდეგ გაიტანეს 1 საპასუხო ბურთი (პეტრსტი).

**სან-იამო, 12 დეკემბერი.** პოლონეთის ნაკრები აქ შეხვდა ჩილის უძლიერეს საკლუბო გუნდს „კოლოკოლოსს“ და გაიმარჯვა — 2:1.

### „მოსკვირები“ — ავსტრალიაში

თბომაგალი „რუსანი“ ინდოეთის ოკეანის ტალღებზე მიტურადა. ერთ შეხვედრით, მისი რევი არაფრით არ იყო ღირსშესანიშნავი: იგი ბომბიდან ავსტრალიის ნავსადგურ ფრინატილში ჩავიდა. მაგრამ ურეველო გასაღმა სომალის ტერიტორიაზე მან ათი დღით შეიფარა 72 ავტომანქანა. რა მანქანას არ შეხვედრებით აქ: „ფორდებს“ და „სიმეებს“, „მერსედესებს“ და „სიტრენებს“. მათ შორის ჩვენი „მოსკვირებიც“ იყვნენ.

„რუსანი“ დაიქირავეს ლონდონ — სიდნეის ავტორალის ორგანიზატორებმა — ლონდონის „დეილი ექსპრესისა“ და სიდნეის „დეილი ტელეგრაფის“ რედაქციებმა. გუშინ თბომაგალი ფრინატილში იყო, დღეს კი გაგრძელებდა „საუკუნის რბოლას“.

რალი საინტერესო და სასარგებლო შეჯიბრებაა. მანქანის მართვაში ორი სპორტსმენი ენაცვლება ერთმანეთს. როგორც წესი, მათგან ერთ-ერთი სპორტსმენი უკეთესი ოსტატია მართებს, მეორე კი ორიენტირებაში უფრო გაწვრთნილია და შტურმანის როლში გამოდის.

ჩვეულებრივ, რალის მარშრუტში მთიანი ტრასები და გზის მხრივ რთული უბნები შედის. მანქანებმა უნდა იარონ დღისითა და ღამით, სიცხესა და წვიმაში. ავტომობილისტები დღეი სისწრაფით მიდიან. შავალია, ამ ავტომობილთაში თერან — ქაბულის მონაქვეთზე „მოსკვირებმა“ საათში საშუალოდ 105 კმ სისწრაფით იარეს. საკონტროლო პუნქტის დროზე ადრე გავლენ უფლება რალის მონაქვეთებში არა აქვთ. თუმცა შეიძლება მიხვიდე ცოტა ადრე, დაისვენო, შეაჩუქო მანქანა, მიგე კი პუნქტზე აღნიშნა გააკეთებინო.

სპორტსმენები გრაფიკს იშვიათად უსწრებენ. ისინი უფრო ხშირად იკვნიან საკონტროლო პუნქტზე: ხან მანქანა მოსაწესრიგებელი, ხან გზა უმდებარე და საჭირო მისახვევს გასვლებთან ხოლმე...

დაგვიანებისთვის კი საკარგიო ქულები ვრიცხებთ: ერთ წუთადლე შეფერება ერთ ქულას ნიშნავს, ორ წუთადლე დგვიანება ორ ქულას და ა. შ.

რალი რთული, ზოგჯერ კი სასიფათო შეჯიბრებაა. სამაგიეროდ, იგი იძლევა საშუალებას ყოველმხრივ შეუმღებდეს მძღველის მისახვევს და ავტომობილისტის ხარისხი. იმ მარჯის მანქანები, რომლებიც წარმატებით გა-

ვილიან ლონდონ — სიდნეის მარშრუტს, გაბედულად შეგიძლიათ იყიდოთ.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი რალი ტარდება: ფინეთში — „1000 ტა“, ჩეხოსლოვაკიაში — „ვლტავა“, კენიაში — „საფარი“, პოლანდიაში — „ტულუპების რალი“. ბევრი ვერობული ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება „მონტე-კარლოს რალი“. უმარტივესი რალი (500-1000 კილომეტრზე 5-10 მანქანის მონაწილეობით) შეიძლება მოაწყოს დონაკის ყოველმა საქალაქო ან საოლქო ავტომობილსა.

ლონდონ — სიდნეის ავტორალის ტრასა 16 ათას კილომეტრზე გრძელდება. იგი გადის სამი კონტინენტისა და 11 ქვეყნის — ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, თურქეთის, ირანის, ავღანეთის, პაკისტანის, ინდოეთისა და ავსტრალიის ტერიტორიაზე.

რბოლა გრანდიოზული გამოდდა. მანქანები წარმოადგინა მსოფლიოს თითქმის ყველა უდიდესმა ფირმამ. შეჯიბრებაში ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის ავტომობილების საუკეთესო ნიმუშებიც ერთად ჩაებნენ „მოსკვირებიც“. „ავტოქსპორტი“ უკვე რამდენიმე წელია საზღვარგარეთ წარმატებით ყიდის საბჭოურ მანქანებს. ახლა ამ მანქანებს 67 ქვეყანაში ყიდულობენ. რასაკვირველია, ურთულეს შეჯიბრებაში მონაწილეობა მათთვის საუკეთესო რეკომენდაცია იქნება.

როგორც ვეწოდით, ავტომობილთა სტარტი აიღო ლონდონის „გრიტალ-პალასის“ პარკში 24 ნოემბერს, 14 საათზე გრინვიჩის დროით.

მონაწილეობა შემდგენლობა საკმაოდ ჭრელია. დასავლეთელებშია ფირმა „პორშე“ მსოფლიო ჩემპიონი, პოლონელი ა. ზასადა მიიწვია, ინგლისურ მანქანას „ბეკ-1800“ მართავს ევროპის ჩემპიონი, ფინელი რ. ალტონენი. კენესიურის შემდეგ სტარტი პირველმა აიღო ინგლისელი ბ. ბენგრის „ფორდის“ კვიაში. ადრე მას ბევრი საგზააქცილო წრიული რბოლა მოუგია, ახლა კი რალი აბრჩია. სტარტზე ბოლო (№ 100) გამოვიდა ფრანგი პ. ბუშეს ეკიპაჟი „სიმის“ მარკის მანქანით. ბუშე ბოლო დრომდე მოტიმრობდა იყო.

პოლანდიურმა ფირმამ „ლაფმა“ ორი მანქანა გამოიყვანა. მთელ გზაზე მათ

### საერთაშორისო მატრები

კვალს მიჰყვება თვითმფრინავი, რომელიც ავტობრანსასთან ერთად პოლანდიის სახელმწიფო კომპანიამ აიღო ივარით. ერთადერთი იტალიური მანქანის „ლანჩია-1300“-ის ეკიპაჟს ხელმძღვანელობს საგზაუკეთესო წრიული ავტობრანების ცნობილი ოსტატი პ. ბაბეტა.

რალიში მონაწილე მანქანებიდან ყველაზე ძველია „ბენტლი“ — 1930 წლის გამოშვება. ამ მანქანას საკმაოდ გზოვტორები ეკიპაჟი ჰყავს — გრენლენდური და ნ. ბურკლი — წარსულში ბომბლის ცნობილი ჩემპიონები (მათ ალბათ რისკს არ შეგონდებათ). „ფორდით“ სტარტი აიღეს ყოფილმა მემბრევენემ, ირლანდიელმა როზმარი სმიტმა, თავისებურა „მის რალიში“, და გრენოლუმა ფრანგმა ლიუსეტ პუნეტემ. ქალიშვილები მხოლოდ თავიანთ შობილიურ ნაზე ლაპარაკობენ. „ეს კარგიც არის, — დიმილით უხმბრა ურნაოსტებს მაღალმა, ქვრათმინანა სმიტმა, — გზაში უფრო ნაღებს ვიჩხუბებო.“

ახლა უკვე უკან დარჩა 10 ათასი კილომეტრი. 98-დან 26 მანქანა (ორს სტარტი არ აუღია) ბომბეიშივე ვერ მივიდა. ოთხივე საბჭოთა ეკიპაჟი მშვიდობით ჩავიდა ინდოეთის ნავსადგურში.

ბომბეიდან გავიდა 70 მანქანა. რალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ბოლო მომენტში გეზე აეყვანათ ადგილ ორი ეკიპაჟი, რომელთაც ადგილები ადრე ჰქონდათ განადღებული. სამართლიანი გადაწყვეტილებაა.

მაშ ასე, წინაა 6 ათასი კილომეტრი ავსტრალიის გზაზე. რალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა: სოპოკომა ბომბეიში განაცხადა: „მარშრუტი ლონდონიდან ბომბეიში მხარული გასერება იყო და ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ვგუგონა. ნამდვილი რალი მხოლოდ ავსტრალიაში დაიწყება“. გუფრობთ, სოპოკომა ცოტა გადაატარა: გზა არც ბომბეიშივე იყო იოლი: უდაბნო, გრუნტიანი გზებია. დიდი სისწრაფით რბოლის დროს სპორტსმენები შეიძლება გარეულ ცხრელებსაც გადაწყვიტონ, მაგალითად, კენეტრუს. ამ დროს რამდენიმე წუთი არ დაშვდეს, ზოგიერთი მანქანას, მათ შორის „მოსკვირებსაც“, სპეციალური თეიერები გაუკეთეს. გრაფიკით, პირველი მანქანები სიდნეიში 17 დეკემბერს, დღის პირველ საათზე უნდა ჩავიდნენ.



### კიდე პრისელ...

გენების ახლოს, ოვერმერის ტბის პირას 50 ათასი კაცმა მოეყარა თავი. ისინი მოვიდნენ სენსაციის სანახად, რომელზეც როლანდ ვან დე პუტს უნდა ეჯახუნა. რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდა ბელგიელმა ავტომობილებმა პოლიციუსს მიაშურა — იმედი ჰქონდა, რომ ავტობრანებზე გადაღებული ფილმებით პოპულარობას მოიხვეჭდა. მაგრამ როლანდი მსახიობი მაინც ვერ გახდა. მას ავალბედნენ დუბლიორობას ავტომობილებთან დაკავშირებული სახიფათო ტრიუკების გადაღებისას. როცა პუტის ოსტატობა პოლიციუსში უკვე აღარ დასტირდათ, მრბოლელი სამშობლოში დაბრუნდა. აქ მან მწერლობა სცადა, მეზარების გამოცემა დააბრავა, მაგრამ ვერ მოახერხა. მანვე პუტი კვლავ დაუბრუნდა თავის სახიფათო ხელობას.

„შე დავამარებ მსოფლიო რეკორდს მანქანით ფრენაში“, — განაცხადა პუტმა. ბელგიის ერთ-ერთმა უდიდესმა საავტომობილო ფირმამ გადაწყვიტა ტრიუკში 2 ათასი დოლარი გადახადა როლანდისთვის. ოვერმერის ტბის პირას მოაწყვეს ხის ფიცარნავი, საიდანაც პუტს სარეკორდო ფრენა უნდა დაეწყო. როლანდმა სისწრაფე საათში 150 კმ-მდე აიყვანა და წინ გაიჭრა. მანქანამ 55 მეტრზე იფრინა და წყალში ჩაეშვა... როლანდი ამოიყვანეს და იმავე წამს მანქანაც ფსკერიკენი წავიდა. სპორტსმენი დიხანს უგონოდ იყო. მიუხედავად დამცველი ჩაფხუტისა, პუტმა თავის ქალის სერიოზული ტრავმა მიიღო. საავადმყოფოში, როგორც კი გონს მოვიდა, მრბოლელმა თქვა: „მოდო, კიდე ერთხელ გავწევ რისკს. ამისთვის კარგა ბლომად უფლს მიხდინა“...

„ბუნტე ილიუსტრირტე“ — აა.ს.

**ავსტრალიის** მოთხილამურე ვაეთა ნაკრები დიდი ხანია შეუდგა წლევენდელი სეზონისთვის სამზადისს. გუნდი შეიცვინა კურორტ ჩერვინიაში. მთავარ ყურადღებას უთმობენ სპეციალურ სლალომში ვარჯისს.

პოლანდიელ პროფესიონალ ველსიბედისტთა დუეტმა — პ. პოსტმა და ლ. დუნიდამა მოიგეს ქვეყნის მქვედლიანი საერთაშორისო ტურნირი. მათ ოდნავ აჯობეს ბელგიელმა პ. სერკუსა და რ. ლოსი.

**ინსაზრას** თე თ რი ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გ. კოპევა (აშშ) პროფსიონალი ბახდა და სირაპაური მოთხილამურთა საბჭოთარი სკოლა ბახსნა.

**იტალიის** სამთომთხილამურთა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის ყოფილი ჩემპიონი ქვიუარმე. მისი გუნდი წლევენდელი ტურნირებისთვის კურორტ სესტრიორში ვეზადება.

**ცურვაში** ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონობასთან წარმატებით ბრძოლისთვის ინგლისის, შევეციის, გფრ-ისა და პოლანდიის ფედერაციებმა შეთანხმდნენ მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდები საერთო ძალით მოაზადონ.

**ლონდონში** ინგლისელ მელორსანთ ტურნირში რ. სტემლინმა ლარაბაური 600 მეტრზე რჯანში მსოფლიოში მატრის საშუალოდ 1:32.0.

**ბარსელონაში** გაიმართა მსოფლიო რეკორდსმენის, 1912 წლის ოლიმპიადის პრიზიორის ე. მუენის ხსოვნის აღსანიშნავი ტრადიციული საერთაშორისო კროსი, 6,5 კმ-ზე რბენა მოიგო ინგლისელი ა. რამერმა — 18:50,4.

**ბომბენინების** დარბაზში გაიმართა გფრ-ის მძღველანთა შეჯიბრება, რომელშიც ოლიმპიელბიც მონაწილეობდნენ. 800 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდსმენია ფ. კემპერმა 200-მეტრიან სის ბილიც 1:000 მეტრი 2 წუთსა და 22 წამში გაირჩინა. ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა კ. ვიპოუს-კომ ჰოლი სტომაში მხოლოდ ცდებით აჯობა 6. ენველს (ორივე 5 მ დაძლია).

85:79

მოსკვირები, 12 დეკემბერი. გუშინ გაიმართა კალთბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატრი. ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი (ქსკ და ალმა-ათის „ლოკომოტორი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 85:79 (44:30).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

დელინი

საქართველოს

დემოკრატიული

ჟურნალი

მაგნიტის რედაქტორი. სპორტის სახსლე. 14-15 დეკემბერი. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო (ნაკრები) — ირანი (ნაკრები). დასაწყისი: 14 დეკემბერს — 19 ს., 15-ში — 12 ს.

**კალთბურთი.** სპორტის სახსლე. 15-16 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ს“ კლასი. ვაუთა გუნდები: „ბურვესტნიკი“ (თბილისი) — ვეჟ (რიგა). დასაწყისი 20 ს.

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან დავით კონსტანტინეს ძე ევანოს დედის ანა ირაკლის ასულ ფორხიძე-ევანოს გარდაცვლას. დეკრალვა მიაკეთეს.